

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის

საჯარო განხილვის ოქმი N1

ქ. ლანჩხუთი

21 ნოემბერი, 2018 წელი

14:00 საათი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია.

საკრებულოს წევრები: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე.

მერიის სამსახურის უფროსები: მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გია ნაჭყებია, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი დავით პატარაია.

კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები: ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორი გელა ზოიძე, საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის ბუღალტერი ლელი მშვიდლობაძე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორი ლია ურუშაძე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების ბუღალტერი ლანა ზურაბიანი, შპს „ლანჩხუთის“ დირექტორი ლევან იმნაძე, შპს „ლანჩხუთის“ ბუღალტერი თემურ ხუხუნაიშვილი, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის შესყიდვების კურატორი დათო დობორჯგინიძე, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ბუღალტერი მედეა ხუხუნაიშვილი, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ვლადიმერ ჩხაიძე, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მუნიციპალური პროგრამების მართვის მენეჯერი ზაზა კილაძე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადამირობრივი ცენტრის დირექტორი ნატო კობალავა, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადამირობრივი ცენტრის მთავარი ბუღალტერი მარინა ქანთარია, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დირექტორი დავით წულაძე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის საფინანსო განყოფილების უფროსი კობა კუნჭულია.

საჯარო განხილვას ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) მ.შ ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში) მაია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი გურამ ბოლქვაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მიულოცა მთავარანგელოზობის დღესასწაული. მან განმარტა, რომ შეხვედრის მთავარი თემაა 2019 წლის პრიორიტეტებისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვა. მოუწოდა დამსწრე პირებს, თუ რაიმე შენიშვნა ექნებოდათ დაეფიქსირებინათ და შესაბამის სამსახურებთან ერთად მოხდებოდა მათი განხილვა, შესაძლებლობის ფარგლებში კი დაკმაყოფილება.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ გააცნო 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის პარამეტრები. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წელი არის საპილოტე ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით, შესაბამის ექსპერტებთან ერთად მოხდა მსჯელობა, საბოლოოდ კი ყველა პარამეტრის მიხედვით ჩამოყალიბდა პროგრამული ბიუჯეტი. მართალია კანონის მიხედვით პროგრამული ბიუჯეტი აუცილებელია 2020 წლიდან, თუმცა ჩვენი დეპუტატის თანადგომითა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საპილოტედ განისაზღვრა ორი მუნიციპალიტეტი, ლანჩხუთი და რუსთავი, სადაც კეთდება 2019 წელს პროგრამული ბიუჯეტი.

ვინაიდან, ველოდებით ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებას, ჩვენს ბიუჯეტში გათვალისწინებული არ გახლავთ კაპიტალური ხარჯები, რომელსაც პერიოდულად ცვლილებების სახით შევიტანთ.

როლანდ ლაშხიამ ყურადღება გაამახვილა გათანაბრებით ტრანსფერზე, რომლის მიზანი იყო განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობების გათანაბრება მათი ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით, რომელიც ამოღებული იქნება და 2019 წლიდან, თვითმმართველობების ბიუჯეტში ჩაირიცხება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლის 19%. ახალი სისტემით მისაღები შემოსავალი აღარ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებს და დამატებით მოტივაციას ქმნის მუნიციპალიტეტისთვის. გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულასთან შედარებით განაწილებული დღგ-ის პროგნოზირება მუნიციპალიტეტისთვის უფრო მარტივია და ხელს შეუწყობს საშუალოვადიანი და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სულ შეადგენს 9 955 300 ლარს. ხარჯებს რაც შეეხება, როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ ყველა ხარჯი არის პროგრამულად გაწერილი მისი მახასიათებლებითა და მაჩვენებლებით. რაც შეეხება ა(ა)იპ-ებს, სუბსიდიის სახით დაფიქსირებულია ხელფასი და სხვა ხარჯები (საქონელი და მომსახურება).

მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ 2019-2020 წლებში სულ 6 პრიორიტეტია:

- ✓ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ✓ განათლება;

- ✓ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;

თუმცა, განსაკუთრებული ორი მიმართულებაა, ესაა სკოლამდელი განათლება, სადაც გამოყოფილია 2 500 000 ლარი, ხოლო დასუფთავების ღონისძიებების ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 15% და გახდა 1 200 000 ლარი, რადგან დასუფთავების პროგრამა ითვალისწინებს ზღვის მიმდებარე ტერიტორია იყოს განსაკუთრებით მოწესრიგებული. პრობლემაა სატრანსპორტო კუთხით, რაც სიძველის გამო რემონტს მოითხოვს, თუმცა ისეთი სპეციფიკური ნაწილებია საჭირო, რაც ძვირია, დამატებით მოგვიწევს ამ საკითხის განხილვა. საქართველოს მთავრობის წინაშე უნდა დაისვას აღნიშნული პრობლემა.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორმა, ლია ურუშაძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ-სთვის გამოყოფილი 289 000 ლარი არ ფარავს ხელფასს, სახელფასო ფონდში 30 536 ლარი არის დანაკლისი. აუცილებელია ამ თანხის დამატება.

ლია ურუშაძემ აღნიშნა, რომ მიესალმება ინიციატივას, რომელიც ეხება სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის გადასახადებისგან შეღავათის გაკეთებას, თუმცა, ამ ინიციატივის გამო 8 950 ლარით ჩვენი შემოსულობები შემცირდა.

ასევე განმარტა, რომ 39 000 ლარი არის ა(ა)იპ-ის შემოსულობები, რომელიც წარმოადგენს სამუსიკო სკოლებში აღსაზრდელების მიერ გადახდილ სწავლის ღირებულებას, რაც გვეხმარება ხარჯების დაფარვის კუთხით.

სახელფასო ფონდის ზრდა გამოიწვია აღსაზრდელთა კონტიგენტის მატებამ სუფსისა და ლანჩხუთის სამუსიკო სკოლებში, რის შედეგადაც მოგვიწია პედაგოგთა დამატება, რამაც გამოიწვია სახელფასო ფონდის გაზრდა.

ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორმა გელა ზოიძემ განმარტა, რომ ა(ა)იპ-ს აქვს აქტივობის 6 მიმართულება: სოფლის მეურნეობა, ინვესტიციები, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარება, ხელშეწყობა. ძირითადად გამოყოფილი თანხის 97% მიმართულია სახელფასო ფონდში, ხოლო 3%-ით ვერ უზრუნველყოფს სამსახურის ფუნქციების შესრულებას და განვითარებას. მან მოითხოვა შესაძლებლობის ფარგლებში 36 000 ლარით მატება, რომლის შემთხვევაშიც ყველა პრობლემა იქნება მოგვარებული და ხელფასების 10%-იანი მატებაც კი შესაძლებელი იქნება. ხელფასის მიცემის გარეშე კი, 20 000 ლარი არის აუცილებლად დასამატებელი ა(ა)იპის ფუნქციონირებისთვის ხელფასის მატების გარეშე.

გელა ზოიძემ ყურადღება გაამახვილა კომპიუტერული ტექნიკაზე, რომელიც არის მოძველებული, არ არის შენობა კეთილმოწყობილი, ყველაზე მძიმე კი არის ის, რომ 40კვ.მ-ში არის 17 თანამშრომელი.

ასევე, ტრანსპორტი (რომელიც გამოიყენება მივლინებაში, შეხვედრებზე გადაადგილებისთვის. საინვესტიციო ჯგუფებთან ურთიერთობისთვის, მუდმივი კომუნიკაციის და მოლაპარაკების მისაღწევად) მოძველებულია და სავარაუდოდ ვერ გაივლის ტექნიკურ დათვალიერებას. აღნიშნული პრობლემაც გასათვალისწინებელია.

ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ მათი საქმიანობა ორიენტირებულია ინვესტიციების მოძიებაზე, დღეის მდგომარეობის მოლაპარაკებები მიმდინარეობს თურქულ და უკრაინულ

ფორმებთან, რომლებიც ააშენებენ ქარხნების, ეს კი გამოიწვევს დაახლოებით 150 ადგილობრივი მოქალაქის დასაქმებას.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა ვლადიმერ ჩხაიძემ უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გაზრდის მიუხედავად ჯანდაცვის ცენტრზე გამოყოფილი თანხა კვლავ უცვლელი რჩება, რამოდენიმე წელია ყოველწლიური ბიუჯეტი შეადგენს 125 000 ლარს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 1.5% უნდა იყოს ამ ა(ა)იპის დაფინანსება. თუმცა ეს არ არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, ბიუჯეტის უმეტესი წილი სახელფასო კუთხით მიდის, ა(ა)იპის ფუნქციონირებისთვის თანხა არის საკმარისი.

ასევე ა(ა)იპ-ის დირექტორმა ყურადღება გაამახვილა და დაყენა მწვავე პრობლემა შენობასთან დაკავშირებით, სადაც განთავსებულია ა(ა)იპ. შენობა არის უმძიმეს მდგომარეობაში, საჭიროებს სასწრაფო რემონტს, არ აქვს კანალიზაციის სისტემა, არ არის წყალი, შუქი, კარებიც კი. მან აღნიშნა, რომ ისინი აჯარიმებენ სხვა ობიექტებს და თავად ელემენტარული სამუშაო პირობებიც არ გააჩნიათ. გამოთქვა ინიციატივა შენობის შეცვლასთან დაკავშირებით, მაგალითად ამავე სასტუმროს მეორე სართულზე უკეთესი მდგომარეობაა და შესაძლებელია რამოდენიმე ოთახის გამოყოფა.

ვლადიმერ ჩხაიძემ ასევე ყურადღება გაამახვილა ავტოსატრანსპორტო (გამოშვებულია 1998 წელს) საშუალებაზე, რომელიც თითქმის გამოსულია მწყობრიდან და საშიშროებაა იმისა, რომ ვერ გაივლის ტექნიკურ დათვალიერებას.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის შესყიდვების კურატორმა დათო დობორჯგინიძემ მთავარ პრობლემად დაასახელა შენობა, რომელიც არ არის ა(ა)იპ-ის სარგებლობაში გადმოცემული, შესაბამისად ვერ ხდება სარემონტო სამუშაოების გატარება, ინიციატივაა ა(ა)იპ-ის გადასცენ სარგებლობის რომელიმე სამართლებრივი ფორმით. სარემონტოა საცურაო აუზი და გასათვალისწინებელია ჰიგიენის დაცვა, რაც ასევე გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული. დღევანდელი მდგომარეობით ბიუჯეტი შეადგენს 590 000 ლარს და ჩვენი ფუნქციების განსახორციელებლად საჭიროა ბიუჯეტის მატება 110 000 ლარით. რაშიც გათვალისწინებული იქნება ხელფასების გათანაბრება ერთი კატეგორიის მწვრთნელებისთვის, მსაჯებისთვის და სხვა თანამშრომლებისთვის.

მთავარმა კურატორმა ერთ-ერთ პრობლემად დაასახელა საოფისე ინვენტარის (კომპიუტერი, მაგიდა და სკამები) ნაკლებობა, გარდა ამისა, ა(ა)იპ-ის არ ჰყავს სატრანსპორტო საშუალება, რათა მოხდეს ტურნირებზე სპორტსმენების გადაადგილება, ამიტომ ა(ა)იპ-ის უწევს მანქანის დაქირავება, ეს არის რეგულარული პროცესია და მუდმივ ხარჯებთანაა დამოკიდებული. ავტომობილის ყიდვის შემთხვევაში ხარჯები შემცირდება, დათო დობორჯგინიძემ ადგილობრივ ხელისუფლებას სთხოვა აღნიშნულზე თანხმობის გაცემა.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ბუღალტერი მედეა ხუბუნაიშვილმა აღნიშნა, რომ გამოყოფილი თანხის 6% აუცილებელია მიიმართოს სპორტული ღონისძიებებისთვის. შესაბამისად საჭიროა მინიმუმ 50 000 ლარის მატება.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის დირექტორმა ნატო კობალავამ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს,

რადგან საბავშვო ბაღი არის მიჩნეული პრიორიტეტად. მან აღნიშნა, რომ მოხდება რამოდენიმე ბაღის რეაბილიტაცია, ბაღების გაზიფიცირება, ასევე ეტაპობრივად განხორციელდა საბავშვო ბაღების საევაკუაციო კიბეებით უზრუნველყოფა. ერთ ჯგუფიან საბავშვო ბაღებში მოხდება მთავარი აღმზრდელების დამატება, ხოლო პერსონალისთვის ხელფასების გათანაბრება.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, თამარ ფირცხალაიშვილმა დააყენა წინადადება, მუნიციპალურ ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობები ადაპტირებული არ არის შშმ პირთათვის, რაც ხელს უშლის მათ გარკვეული სერვისების სარგებლობაში, აუცილებელია აღნიშნული საკითხის დროულად მოწესრიგება. ასევე აღნიშნა, რომ სასულიერო გიმნაზიის შემთხვევაში, მხოლოდ მოსწავლეების ტრანსპორტირება ფინანსდება 5 500 ლარით. იმის გამო, რომ მოხდა საწვავის ფასების მატება და ბავშვთა კონტიგენტის გაზრდა, სასურველია გამოყოფილი თანხის 2 100 ლარით მატება.

მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ია ჩხაიძემ განმარტა, რომ სამსახურის ბიუჯეტი შეადგენს 45 000 ლარს, წლის განმავლობაში მათ მიერ იგეგმება ლანჩხუთის ტერიტორიაზე მრავალი ღონისძიებების მოწყობა, მათ შორის, დღესასწაული „ლანჩხუთობა“-ს დაწესება, ასევე მუნიციპალიტეტში იმართება ლელო, ჯიხეთობა და ა.შ. საჭიროა მინიმუმ 5 000 ლარის მატება, რომელიც ხელს შეუწყობს სამსახურს ფუნქციების სრულყოფილად შესრულებაში.

მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსმა, დავით პატარაიამ აღნიშნა, რომ სამსახურის ფუნქციაა წვევამდელთა დროული აღრიცხვა და გაწვევა, აუცილებელია წლიური ბიუჯეტის 3 000 ლარით მატება, რომელიც მოხმარდება წვევამდელთა ტრანსპორტირებას.

ამით 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა დასრულდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე:

ალექსანდრე მახათაძე